



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თიანეთის მუნიციპალიტეტი



დ. თიანეთი

რუსთაველის ქუჩა №67

ტელ: 8 (348) 29 16 89

ელ. ფოსტა tianetisakrebulo@mail.ru

№ 59

9 ავტოხვადი 2012 წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, გიგზავნით თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა სიონში ქუმსიაშვილის ქუჩაზე მდებარე 3 საერთო საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადების არქიტექტურული ესკიზის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებას.

გთხოვთ, აღნიშნული საკონკურსო განცხადება გამოგვიქვეყნოთ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

დანართი 4 ფურცლად.

პატივისცემით,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

გივი წიკლაური

საკონკურსო განცხადება

1. თვითმმართველი ერთეული თიანეთის მუნიციპალიტეტი (მისამართი დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N67) აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია დაბა სიონში ქუმსიაშვილის ქუჩაზე მდებარე 3 საერთო საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადების საუკეთესო არქიტექტურული პროექტებისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევითწარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 20 თებერვალს.

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 23 თებერვალს 15:00 საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 23 თებერვალს 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N 67, მე-2 სართული

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად განვეის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

✓ საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში;

შენიშვნა: იმ შემთხვევაშითუ კონკურსანტი არ არის დღგს-გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინების შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე.

✓ გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული პროექტი, ესკიზი, განმარტებითი ბარათი.

✓ ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

✓ რეკვიზიტები;

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (700 ლარი) არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

✓ საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,6

✓ არქიტექტურული პროექტი და ესკიზი: კოეფიციენტი – 0,4

✓ შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 23 თებერვალს 15.00 საათზე შემდეგ მისამართზე: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N 67, მე-2 სართული. გამარჯვებული გამოვლინდება 2012 წლის 28 თებერვლის 12.00 საათზე.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

19. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში

20. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტებმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

22. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან:

ირმა თურქიაშვილი ტელ.: 0(348)291965

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დაბა სიონში ქუშიაშვილის ქუჩაზე მდებარე 3 საერთო საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადების საუკეთესო არქიტექტურული ესკიზის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. არქიტექტურული პროექტი;
2. დეფექტური აქტი;
3. ხარჯთაღრიცხვა;

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა კონკურსანტის მიერ განხორციელდება ანაზღაურების გარეშე. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო საერთო ღირებულების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 34000 (ოცდაათოთხმეტიათასი) ლარს.

დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება ერთ დალუქულ კონვერტში, ერთ დისკზე ჩანერილი ელექტრონული ვერსია და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 23 თებერვლის 15.00 საათამდე თიანეთის მუნიციპალიტეტში შემდეგ მისამართზე: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა #67, მე-2 სართული, კომისიის აპარატში

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი: